

თბილისი ჯერ კიდევ განიცდის სპორტული ბაზების სიმცირეს. ეს ცხადია. თითქმის ყოველი სპორტ-საზოგადოების კონფერენციასა და თათბირზე, ყოველი ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ იმართება ცხარე დისკუსია ბაზების ნაკლებობის შესახებ.

სპორტული ბაზების სიმცირე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სპორტსმენთა დაოსტატებზე. მსმ რატომღაც რომ ზოგიერთი ორგანიზაცია სათანადოდ არ უვლის თავის ბაზას, ზოგჯერ გამოუყენებელი ექვს იგი? მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არაა. „შრომით

გაუქმებული მოედანი

რეზერვებს“ თბილისის ლენინის სახელობის რაიონში, რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის ტერიტორიაზე ჰქონდა სპორტული ბაზა ფეხბურთის მოედნით, მძლეოსნური სექტორებით, სპორტდარბაზითა და კეთილმოწყობილი კალათბურთის მოედნით.

გასული წლის ბოლოს გადაწყვიტეს ამ ბაზებისათვის მიემატებინათ ზამთრის საცურაო აუზიც, დიფუკს

მშენებლობა, ამოიღეს ქვაბური, მაგრამ დასასრული არ ჩანს. აუზის მშენებლობისათვის მოზიდული საშენი მასალის დასაწყობად ყველაზე „მიზანშეწონილ“ ადგილად მიიჩნიეს კალათბურთის მოედანი და ღარიები „ყელამდე“ აავსეს მასალით. მათი განთავსებულება აზრად არავის მოსვლია მაშინაც კი, როცა იძულებული იყვნენ „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური სპორტკავის პროგრამით გათვა-

ლისწინებული შეგვედრება კალათბურთში ჩატარებინათ ნათხოვარ მოედანზე. შეუწყნარებლად ჰქონდა თვით აუზის მშენებლობაც (სურათი მარცხნივ). ზოგიერთს იგი ზედმეტადაც მიანია, რადგან არსებული საზაფხულო აუზი ამ პანაქება სიცხეშიც კი გამოუყენებელია. ცურვის მოყვარულები თავინთ სურვილს ფსკერის ცალ მხარეს ჩაგუბებული წყლით „იკლავენ“ (სურათი მარჯვნივ). და ეს მაშინ, როცა შეიძლება აუზს სრული დატვირთვით შეესრულებინა თავისი პარდაპირი ფუნქციები.

ბ. ამირხანოვი

სანარკოო განვარჯიხს მიეძღვნა

მეცნიერული გამოკვლევები და მთელ რიგ საწარმოთა მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს, რომ მუშაობის პროცესში ჩატარებული ტანვარჯიშის სწორი ორგანიზაციის პირობებში უმჯობესდება მუშათა და მისამსახურეთა ჯანმრთელობა, მიღდება მათი შრომის ნაყოფიერება, მცირდება საწარმოო წუნი და მუშათა ტრავმატიზმი.

ტანვარჯიში წარმოებაში სწორედ იმ გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოებისა და დაწესებულებათა მუშებისა და მისამსახურეების შრომის რაციონალური რეჟიმის შექმნას.

სწორედ ამ კეთილშობილურა ღონისძიების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს მიეძღვნა ამ დღეებში თბილისში ჩატარებული ზონალური თათბირი, რომელიც მოიწვია საკვ-შირო პროფსაბჭოს სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალურმა საბჭომ.

ზონალურ თათბირს დაესწრა საწარმოო ტანვარჯიშის 125-ზე მეტი მეთოდისტი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებიდან. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამავე რესპუბლიკების პროფსაბჭოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების პასუხისმგებელი მუშაეები.

თათბირზე მოხსენებით თემაზე — ტანვარჯიში წარმოებაში და მისი დანერგვის შემდგომი პერსპექტივები სსრ კავშირში, გამოვიდა ფიზკულტურის ცენტრალური სამეცნიერო კმლვეითა ინსტიტუტის საწარმოო ტანვარჯიშის სექტორის გამგე ახ. ი. ონიკიანი. თანამოსხენებით გამოვიდნენ კონფერენციის მონაწილე რესპუბლიკების წარმომადგენლები. როგორც მოხსენებელმა, ასევე თანამომხსენებელმა აღნიშნეს ის დადებითი გამოცდილება, რაც მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებს გააჩნიათ ამ საქმეში, აგრეთვე ის ჩრდილოვანი მხარეებიც, რაც ხელს უშლის საწარმოო ტანვარჯიშის მოწოდების სიმძლავრე დაყენებას.

ჩვენს რესპუბლიკის სინამდვილიდან აღინიშნა, რომ მარტო სპორტული საზოგადოება „განთავსდა“ ხაზით 70-ზე მეტი მეთოდისტი ჩამბული ამ საქმეში. თბილისის ავტონარემონტო ქარხანა, მაულ-კამეოლის კომბინატი, ცხიკომბინატი, ჰიდროენერგოპროექტი, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, ზესტაფონის ფეროშე-

მოეწყო მოედნები

„კოლმეურნის“ ადგილის რაიონული საბჭოს ინიციატივით მთელ რიგ სკოლებში მოეწყო ახალი სპორტული მოედნები, მთავრდება საბჭოთა ორმოებისა და საჭიდაო ასპარაზის კეთილმოწყობა.

1 ივნისს ახალ ბაზებზე დაიწყო რაიონის პირველობა კოლმეურნე ფეხბურთელთა შორის. მასში მონაწილეობს 12 გუნდი.

უფრო ადრე „კოლმეურნის“ ძირეულ კოლექტივებში ჩატარდა შეჯიბრება მეთოდისტიან შაშხანიდან სროლაში, მონაწილეობდა 18 გუნდი 90 სპორტსმენის შემადგენლობით. კარგი შედეგები აჩვენეს სოფელ მოხის, ქუქლისა და უდის კოლმეურნეთა გუნდებმა.

ამ დღეებში ადგილის რაიონის სოფ. უდის საშუალო სკოლის მოწვევით ჩატარდა ამხანაგური შეგვედრა ფრენბურთისა და კალათბურთში. თამაშობდნენ ახალციხის პედსასწავლებლისა და უდის საშუალო სკოლის მოსწავლე სპორტსმენები. სტუმრები ძლიერი აღმოჩნდნენ ფრენბურთში, ხოლო კალათბურთში დამარცხდნენ.

ი. ზაზაშვილი

სპორტის მოსახერხებელი

კომპაგვირისა და ფიზკულტურის გარეუბნის რაიონულმა კომიტეტებმა დილოში ჩატარეს საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები. ქართულ ჰიდაობაში, მძლეოსნობაში, ტყვიით სროლაში და ფრენბურთში. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები სიმძიმეების აწევვაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რეკორდსმენი და ჩემპიონი ი. ყუბანეიშვილი, რესპუბლიკის ჩემპიონი შ. კაცობაშვილი და სხვები.

ი. ჩხარტიშვილი

მოეწყო რესპუბლიკის კალთხანთა მუშა

გორში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით მოწყობილი მატჩი ძალისხმეაში „კოლმეურნის“, „მესხულის“ (აზერბაიჯანი) და „კალტასაქანის“ (სომხეთის) გუნდებს შორის, რომელმაც ადგილობრივი სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მატჩე წონაში სამპიდის ჯამით 280 კგ პირველი ადგილი მოიპოვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა რ. დათიკაშვილმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ე. ნაზარბაიანი — 250 კგ. ქვემსუბუქე წონაში სპორტის ოსტატმა ა. გრიგორიანმა („კოლმეურნი“) სამპიდში დააგროვა 310 კგ და დიდი განსხვავებით (62,5 კგ) აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ სომხეთის წარმომადგენელს — შ. ზეჯულმაიანს.

მსუბუქე წონაში უძლიერესი იყო საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი შ. კაცობაშვილი შედეგით 317,5 კგ. მას 10 კილოგრამით ჩამორჩა ზ. მელხისიანი (სომხეთი). ქვესაშუალო წონაში სომხეთის წარმომადგენელმა ა. სეტოიანმა და აზერბაიჯანელმა ი. სალახოვამ ვერ განსაზღვრეს თავიანთი შესაძლებლობანი (პირველმა აკიმაში და აკვრაში, ხოლო მეორემ ატაცში მიიღეს 0 შედეგება) და პირველ ადგილზე ყოველგვარი ბრძოლის გარეშე გამოვიდა ი. გოგიტიძე (საქართველო) — 320 კგ. საშუალო წონაში მეორე და მესამე ადგილებსათვის ბრძოლა

ბ. ზაზაშვილი

სპორტული რაიონული სპარტაკიადა

ლაგოდეხში ორ დღეს გრძელდებოდა „განთავსდა“ რაიონული საბჭოს სპარტაკიადა.


ფრენბურთში ჩემპიონობა მოიპოვა ლაგოდეხის კომუნალური განყოფილების ფრენბურთელთა გუნდმა ყუბანის ტყორცნაში უძლიერეს აღმოჩნდა კალინინის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ტალახაძე, 100 მეტრზე რბენაში — ბ. ლოლაძე, სიგრძეზე ხტომაში — თ. ყაველაშვილი, ხოლო ჰალაქში — შ. ჯინჭარაძე.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ქალაქის კომუნალურმა განყოფილებამ.

ბ. ბაბაური

სურათები: ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის ელექტროსამაქროს მუშები საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების დროს.

ფოტო თ. ნინოშვილისა.



გაიმართა ბ. კოტურენკის, ე. ბაიჯანი) და გ. ანტონიანს (სომხეთი) შორის, ვინაიდან, როცა ეს ორი სპორტსმენი გამოსვლას ამთავრებდა, შეჯიბრებაში მხოლოდ მან ჩაება საქართველოს წარმომადგენელი იყო. ჩემპიონი ი. ყუბანეიშვილი 385 კილოგრამით სამპიდის ჯამით დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა ა. კოტურენკის (აზერბაიჯანი). ქვემსუბუქე წონაში პირველივე მოძრაობიდან ცხადი გახდა სომხეთის გუნდის წარმომადგენლის გ. ბაღდასარიანის უპირატესობა, რომელმაც სამპიდში დააგროვა 355 კილოგრამი და მოიპოვა პირველი ადგილი. კ. ხატიშვილი გამოვიდა მეორე ადგილზე.

მძიმე წონაში საქართველოსა და სომხეთის ძალისხმეებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ ა. საფარიანს (აზერბაიჯანი), რომელმაც 315 კგ-ით მესამე ადგილი მოიპოვა. პირველობისათვის ბრძოლა გ. ბაღდასარიანს (საქართველო) და გ. ბოლოსიანს (სომხეთი) შორის გაიმართა. ორი მოძრაობის შემდეგ ორივე მტანგისტს ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდა — 235 კგ. მესამე მოძრაობაში საქართველოს წარმომადგენელმა მეტი წონა დაძლია და 355 კილოგრამის დაგროვებით გაიწვია პირველი ადგილი.

ამრიგად, გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთის, ხოლო მესამეზე — აზერბაიჯანის გუნდი.

ამხანაგურ მატჩში კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ საქართველოს „დინამოს“ ძალისხმეები. აღსანიშნავია სპორტის დამსახურებული ოსტატის რაფაელ ჩიბოშვილის გამოსვლა, რომელმაც აკიმა 107,5, აიტაცა 107,5, აპკრა 140 კგ და სამპიდის ჯამში აჩვენა შესანიშნავი შედეგები — 355 კილოგრამი.

კ. ზაზაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ა. ლოკაძე

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაი.



პირველი უახლოესი გაზი თბილისში

თბილისში, იქ სადაც დღეს სტალინის სახ. რაიონის საკომუნისტო ბაზარი...

1910-1914 წლებში ამ მოედანზე თავს იყრიდნენ ფეხბურთის მოყვარულები...

ერთი პატარა ფეხსაცმლის სამკერვალო, სადაც მუშაობდა ხელოსანი...

ნარევი ლოკოკინების შეჯიბრება


ამას წინათ ლონდონში მოეწყო საერთაშორისო შეჯიბრება... ლოკოკინებს შორის...

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი სასაცილო ისტორია. ერთ საღამოს...

„ბრძოლა“ ხულიგნობასთან

როდესაც ენციკლოპედიაში შეიქმნა „სპორტსმენებს შორის ხულიგნობასთან ბრძოლის კლუბი“...

„ვეებერთელა საპაეო ხომალდმა უკანასკნელი წრე შემოხაზა თბილისის თავზე...“



პონერები გავიდნენ ნაღობიდან.



ფოტოგრაფიული დ. იაკობაშვილისა.

თუ ამინდი ხელს გვიწყობდა, თითქმის ყოველ საღამოს (კვირა დღეებში)...

მატჩის წინა დღეს „კომეტის“ მოთამაშეებმა თავი მოვიყარეთ და რამდენადაც შესაძლებელი იყო...

„კომეტას“ გუნდის შემადგენლობიდან მახსენდება ლ. ქაღვიშვილი...

ამ მატჩის ყველა მონაწილეს ღვაწი იგივეა აბრეშუმის ცისფერ ლენტზე...

ბ. სანიავილი

მ. გორკის სახელობის კლუბში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ თბილისის I საქალაქო კონფერანსია...

მოსხენებით გამოვიდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ორგბურის თავმჯდომარე ნ. სხირტლაძე...

მოსხენების დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა იმ ნაკლოვანებათა მხილვას...

ქ ყველა თაბაბოს ჭაღრაკს

ვინც არ უნდა ჩაიფიქოს ხელოსანობის სოფელ დიდაქარაში არ შეიძლება არ შეამჩნიოს ადგილობრივი მკვიდრთა განსაკუთრებული სიყვარული...

ქაღრაკმა დიდაქარაში მოიკიდა ფეხი ამ ოცდაათი წლის წინათ. 1924 წელს სოფელში მასწავლებლად ჩამოსულმა მიხეილ ბოცაძემ...

მ. ბოცაძის მიერ დაწყებული ერთი სახელი საქმე შემდგომ უფრო გაიშალა...

მდგომარეობას, რომ მივიღოთ რაც სურს. მოვიღოთ და მათ შორის ჩაის ფაბრიკის კოლექტივში...

სიტყვით გამოსულმა საკავშირო პროფსაბჭოს ფიზკულტურული განყოფილების გამგემ გვთხოვდა აღნიშნა, რომ საჭიროა მშრომელთა ფართო მასების აქტიური დასვენების უზრუნველსაყოფად...

კონფერანსიამ მიიღო ღონისძიება და აირჩია „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს 1-ლი რესპუბლიკური კონფერანსის დელეგატები.

ა. ბარნოვი

მრავალფეროვანი შეჯიბრებების ჩატარება ხელოსანობის რაიონში. 1939 წელს დიდაქარაში წარმატებით გამოვიდნენ აჭარის ასსრ ჩემპიონატში...

ბ. მორჩილაძე

ახალი კინოქუჩის ახალი

„ქართული ფილმის“ ქრონიკის მიერ გადაღებული სპორტული ფურნალი, რომელიც ამერიკელ სპორტსმენთა ჩამოსვლას მიეძღვნა...

ლენინგრადში ისევე მეგობრულად იღებდნენ შორეული ქვეყნის უბრალო დამაინებს, როგორც თავის ძველ ნაცნობებსა და ახლობლებს...

უაღრესად არახელსაყრელ ამინდში, სპეციალური განათების გარეშე მართლაც ძნელია სრულფასოვანი მასალის შექმნა...

ამერიკა კალათბურთის სამუშაოა და, რა თქმა უნდა, ამერიკელ კალათბურთელებთან შეხვედრა განუყოფელია...

ამერიკის კალათბურთელების სტუმრობას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა, რაც ამ იერი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ურყევ სურვილს გამოხატავდა...

ქუჩის წარმტეხას ხელს უწყობს კარგი ტექსტი და დიქტირების რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობის კ. მახარაძის სხარტი და მონილი მეტყველება...

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში მოხდა ამერიკისა და საქართველოს ვიზუალური შეხვედრა...

გულახდილად უნდა ვთქვათ, მაშინ არ გვეჩეროდა მოედნის ირგვლივ მოფუსფუსე ოპერატორებსა, არ გვეჩეროდა, რადგან...

ეროს კი შევასვენებთ ავტორებს. ურნალი გაცილებით მეტს მოიგებდა, რომ უფრო იდრე გამოეშვათ იგი ეყრანზე, მანამ, სანამ მათ შემოღობულ მესხიერებაში ცოცხლობდა ამ საინტერესო სპორტული ბრძოლის პერიპეტები.

ნ. ახვლედიანი